

ვებგვერდი, 110818016, 22/08/2011
სარეგისტრაციო კოდი
300160070.22.024.016103

**საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრის
ბრძანება №1-1/1562
2011 წლის 18 აგვისტო ქ. თბილისი**

**ტექნიკური რეგლამენტის "ავტოსატრანსპორტო საშუალებებით
ტვირთის გადაზიდვის წესის" დამტკიცების თაობაზე**

„ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-10 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „ტრანსპორტის სფეროში ტექნიკური რეგლამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 9 ივნისის №1-1/883 ბრძანებით დამტკიცებული „ტრანსპორტის სფეროში ტექნიკური რეგლამენტების ნუსხის“ პირველი მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1. დამტკიცდეს თანდართული ტექნიკური რეგლამენტი - „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესი“.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის 2008 წლის 21 აპრილის №49 ბრძანება.

მუხლი 3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვ. ქობალია

**ტექნიკური რეგლამენტი
ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ტექნიკური რეგლამენტი – „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესი“ (შემდგომში წესი) შემუშავებული იქნა საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტების, ნორმებისა და წესების შესაბამისად.

2. წესი ადგენს სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის პირობებს, უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის უზრუნველყოფასთან

დაკავშირებულ მოთხოვნებს, აგრეთვე გადაზიდვის პროცესში მონაწილეთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას.

3. ტვირთების გადაზიდვისას დაცული უნდა იქნეს წინამდებარე ტექნიკური რეგლამენტით, საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისო ნორმებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური ექსპლუატაციის, დატვირთვა-გადმოტვირთვის და ტრანსპორტირების აუცილებელი უსაფრთხოების მოთხოვნები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გარემო პირობების, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა და ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და ტვირთის უსაფრთხოება.

მუხლი 2. წესის მიზანი

წესის მიზანია:

ა) ავტოსატრანსპორტო საშუალებით ტვირთის გადაზიდვისას ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის და საკუთრების უსაფრთხოების დაცვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფა;

ბ) საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან.

მუხლი 3. გამოყენების სფერო

1. წესის მოთხოვნები არ ვრცელდება იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც გამოიყენება:

ა) ტვირთის ტექნოლოგიურ გადაადგილებაზე საწარმოს ტერიტორიის ფარგლებში, სადაც წარმოებს მისი დამზადება, გადამუშავება, შენახვა, გამოყენება ან განადგურება, თუ აღნიშნული გადაადგილება ხორციელდება საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების გამოყენების გარეშე;

ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების, შეიარაღებული ძალების, სახანძრო-სამაშველო დანაყოფების, წყლის, კანალიზაციის, გაზისა და ელექტრომომარაგების, ელექტროკომუნიკაციების, მაუწყებლობის, ნავის შეგროვებისა და გატანის, აგრეთვე სპეციალურ სამედიცინო და საავარიო სამუშაოებზე;

გ) საგანგებო სიტუაციების და საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების დროს;

დ) საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ბირთვული მასალების, რადიაქტიური ნივთიერებებისა და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების ტრანსპორტირების დროს.

2. წესის მე-9 მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდება ერთი ავტოსატრანსპორტო საშუალებით შეზღუდული ოდენობით სახიფათო ტვირთის გადაზიდვაზე. სახიფათო ტვირთის შეზღუდული ოდენობა სახეობებისა და კლასების მიხედვით, რომელიც შეიძლება გადაიზიდოს ერთი ავტოსატრანსპორტო საშუალებით სახიფათო ტვირთის გადაზიდვის წესის მოთხოვნათა დაუცველად, განისაზღვრება "სახიფათო ტვირთების გადაზიდვის შესახებ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტიპიური წესების შესაბამისად (ST/SG/AC.10/1/Rev(vol.1)).

მუხლი 4. ტერმინთა განმარტება

1. წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ავტოსატრანსპორტო საშუალება** – ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება ან სატრანსპორტო საშუალებათა (ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალება/საწევარი, მისაბმელი/ ნახევარმისაბმელი) შეწყვილებული კომბინაცია, რომელიც გამოიყენება გზაზე ტვირთის გადასაზიდად;

ბ) **განსაკუთრებით სახიფათო ტვირთი** – სახიფათო ტვირთი, რომელსაც მინიჭებული აქვს პირველი ან მეშვიდე კლასი, ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;

გ) **მალფუჭებადი ტვირთი** – საკვები პროდუქტები, რომლის გადაზიდვისას საჭიროა ტემპერატურული რეჟიმის დაცვა;

დ) **მარშრუტი** – წინამდებარე წესის მიზნებისათვის პუნქტებს შორის ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მიმოსვლისათვის დადგენილი გზასავალი;

ე) **ნარინჯისფერი ტაბლო** – საინფორმაციო ტაბლო, რომელზეც გამოსახულია ზედა ნახევარში ნივთიერების საშიშროების კლასი, ხოლო ქვედა ნახევარში ნივთიერების საიდენტიფიკაციო გაეროს ნომერი და გამოიყენება სახიფათო ტვირთის გადაზიდვისას ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ამ ინფორმაციის ვიზუალური მინიშნების მიზნით;

ვ) **სერტიფიკატი მძღოლის სპეციალური მომზადების შესახებ** – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მძღოლმა გაიარა სათანადო მომზადება სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე საერთაშორისო ნორმების მიხედვით შედგენილი პროგრამით შესაბამის სასწავლო დაწესებულებაში;

ზ) **ტვირთი** – გადამზიდველის მიერ გადასატანი ან გადატანილი ყოველგვარი მატერიალური ქონება, ცხოველთა სამყაროს ცოცხალი ობიექტების და მათი დერივატებისა და ცხოველქმედების პროდუქტების ჩათვლით, აგრეთვე კონტეინერები, პალეტები და ანალოგიური საგნები;

თ) **EX/II ან EX/III ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალება** – სატრანსპორტო საშუალება, განკუთვნილი ფეთქებადი ნივთიერებებისა და ნაკეთობების (1 კლასი) გადასაზიდად;

ი) FL ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალება: (22.10.2008 N 154)

ი.ა) სატრანსპორტო საშუალება, განკუთვნილი იმ სითხეების გადასაზიდად, რომელთა აფეთქების ტემპერატურა არ აღემატება 60⁰-ს (გარდა დიზელის სათბობის, გაზოილისა და მსუბუქი ღუმელის სათბობის – გაეროს საიდენტიფიკაციო ნომერი 1202), 1 მ³-ზე მეტი ტევადობის მქონე ჩამაგრებული და სახსნელი ცისტერნებით, ან 3 მ³-ზე მეტი ტევადობის მქონე კონტეინერ-ცისტერნებითა და გადასატანი ცისტერნებით;

ი.ბ) სატრანსპორტო საშუალება, განკუთვნილი ადვილაალებადი აირების გადასაზიდად, 1 მ³-ზე მეტი ტევადობის მქონე ჩამაგრებული და სახსნელი ცისტერნებით, ან 3 მ³-ზე მეტი ტევადობის მქონე კონტეინერ-ცისტერნებით, გადასატანი ცისტერნებითა და მრავალელებმენტიანი გაზის კონტეინერებით;

ი.გ) სატრანსპორტო საშუალება-ბატარეა 1 მ³-ზე მეტი ტევადობით, განკუთვნილი ადვილაალებადი აირების გადასაზიდად.

კ) OX ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალება – სატრანსპორტო საშუალება, განკუთვნილი სტაბილიზებული წყალბადის პეროქსიდის ან წყალბადის პეროქსიდის სტაბილიზებული წყალხსნარის 60%-ზე მეტი წყალბადის პეროქსიდის შემცველობით (კლასი 5.1, გაეროს საიდენტიფიკაციო ნომერი 2015) გადასაზიდად, 1 მ³-ზე მეტი ტევადობის მქონე ჩამაგრებული და სახსნელი ცისტერნებით, ან 3 მ³-ზე მეტი ტევადობის მქონე კონტეინერ-ცისტერნებით და გადასატანი ცისტერნებით; (22.10.2008 N 154)

ლ) AT ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალება:

ლ.ა) ავტოსატრანსპორტო საშუალება (EX/III, FL და OX ტიპის სატრანსპორტო საშუალებების გარდა), განკუთვნილი სახიფათო ტვირთების გადასაზიდად, 1 მ³-ზე მეტი ტევადობის მქონე ჩამაგრებული და სახსნელი ცისტერნებით, ან 3 მ³-ზე მეტი ტევადობის მქონე კონტეინერ-ცისტერნებით, გადასატანი ცისტერნებითა და მრავალეემენტური გაზის კონტეინერებით;

ლ.ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალება-ბატარეა 1მ³-ზე მეტი ტევადობით (FL ტიპის სატრანსპორტო საშუალებების გარდა).

მ) J შეთავსობადობის ჯგუფი - ნაკეთობა, რომელიც შეიცავს როგორც ფეთქებად ნივთიერებას, ასევე ადვილალეზად სითხეს ან გელს.

2. წინამდებარე რეგლამენტში მოყვანილი სხვა ტერმინები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 5. ავტოსატრანსპორტო საშუალების მიმართ წაყენებული ზოგადი მოთხოვნები

ექსპლუატაციაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალების (მათ შორის, სპეციალიზებული ავტოსატრანსპორტო საშუალების) ტექნიკური მდგომარეობა, მისი აღჭურვილობა და კომპლექტაცია უნდა შეესაბამებოდეს დამამზადებლის, საქართველოს კანონმდებლობის და წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 6. მძღოლის, გადამზიდველის, ტვირთგამზავნისა და ტვირთმიმღების ვალდებულებები

1. გადამზიდველი, ტვირთის გამზავნი და ტვირთის მიმღები ვალდებული არიან დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების ტექნიკისა და ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნები დატვირთვა-გადმოტვირთვისა და გადაზიდვის პროცესში.

2. ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი (შემდგომში "მძღოლი") ვალდებულია დაიცვას "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონით, გადაზიდვებთან დაკავშირებული სტანდარტებით, ტექნიკური რეგლამენტებით და საერთაშორისო ნორმებით, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური ექსპლუატაციის, სერვისისა და წინამდებარე წესებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

3. გადამზიდველი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს დასატვირთად გადაზიდვის შესრულებისათვის შესაბამისი კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალება;

ბ) შეამოწმოს ავტოსატრანსპორტო საშუალების ძარაში ტვირთის დატვირთვისა და განლაგების სისწორე და მოითხოვოს ტვირთის გამგზავნისაგან შემჩნეული ნაკლოვანებების აღმოფხვრა;

გ) უზრუნველყოს ტვირთის უსაფრთხო გადაზიდვა;

დ) უარი განაცხადოს გადაზიდვაზე, თუ განსხვავებული თვისებების მქონე ტვირთების ერთობლივმა გადაზიდვამ შეიძლება გამოიწვიოს ტვირთის ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის საფრთხის შექმნა;

ე) უარი განაცხადოს გადასაზიდი ტვირთის მიღებაზე, თუ ტვირთის გადაზიდვა შეუძლებელია საგზაო და/ან კლიმატური პირობების გამო;

ვ) უზრუნველყოს მძღოლი საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისო შეთანხმებებითა და კონვენციებით გათვალისწინებული გადაზიდვისათვის საჭირო დოკუმენტაციით;

ზ) უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, აკონტროლოს ტვირთის გამგზავნის მიერ ტვირთის დატვირთვის, ძარაზე მისი დამაგრებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების ბორტების (ცისტერნის ლუკების) დახურვის პროცესი, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. დარღვევების აღმოჩენისას, გადამზიდველმა უნდა აცნობოს ტვირთის გამგზავნს აღნიშნულის შესახებ და შეწყვიტოს დატვირთვის პროცესი ნაკლოვანებების აღმოფხვრამდე;

თ) გადამზიდველი, რომელიც ახორციელებს ან სურვილი აქვს განახორციელოს ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვა ECMT-ს წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე, უნდა პასუხობდეს ევროსაბჭოს 1996 წლის 29 აპრილის N96/26/EC დირექტივით "სატვირთო და სამგზავრო საავტომობილო გადაზიდვების განმახორციელებელი კომპანიების სამუშაოზე დაშვების, აგრეთვე ნაციონალური და საერთაშორისო გადაზიდვების თავისუფლად განხორციელების უფლების გამოყენებაში აღნიშნული საწარმოებისათვის დახმარების გაწევის მიზნით, დიპლომების, სერტიფიკატების და პროფესიული კვალიფიკაციის სხვა დამადასტურებელი მოწმობების ურთიერთადიარების შესახებ" და ECMT-ს 2000 წლის 5 ივნისის CEMT/CM (2000)10/FINAL კონსოლიდირებული რეზოლუციით "საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების წესის თაობაზე" განსაზღვრულ მოთხოვნებს".

4. გადამზიდველის წინამდებარე წესის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებისა და დადასტურების პროცედურა ხორციელდება მის მიერ ამ წესის მოთხოვნებთან მომსახურების შესაბამისობის დეკლარაციის მიღებით ან ამ წესის მოთხოვნებთან მომსახურების შესაბამისობის შეფასების მიზნით მისი აკრედიტებული სერტიფიკაციის ორგანოსათვის ნებაყოფლობით წარდგენით. შესაბამისობის დამადასტურებლის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

5. ტვირთის გამგზავნი ვალდებულია:

ა) გადამზიდველის ან მძღოლის მოთხოვნით აღმოფხვრას ტვირთის განლაგება-დამაგრებაში და შეფუთვაში აღმოჩენილი უწყესივრობები, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ტვირთს ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალებას;

ბ) დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების დროს ტვირთის შესაძლო დაზიანების თავიდან აცილების მიზნით მოახდინოს სპეციალური მარკირება, რომელიც მიუთითებს ტვირთის თვისებებზე, მისდამი დამოკიდებულებაზე (მოპყრობაზე)

დატვირთვა-გადმოტვირთვის, ტრანსპორტირების და შენახვის პროცესში (მაგალითად "ზევით", "არ აბრუნოთ", "მსხვრევადი" და სხვა).

6. ტვირთის გამგზავნი (ტვირთის მიმღები) ვალდებულია უზრუნველყოს ტვირთის დატვირთვის (გადმოტვირთვის) ადგილზე ავტოსატრანსპორტო საშუალების უსაფრთხო მოძრაობისა და მანევრირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა.

მუხლი 7. გადაზიდვის ხელშეკრულება

გადაზიდვის ხელშეკრულების ფორმა, შედგენის წესი, პირობები, მხარეთა უფლებები, ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 8. ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვა

1. ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ტვირთი უნდა განთავსდეს და დამაგრდეს ისე, რომ გადაზიდვისას უზრუნველყოფილი იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალების და მოძრაობის უსაფრთხოება დატვირთვა-გადმოტვირთვისა და გადაზიდვის პროცესში და საფრთხე არ შეექმნას ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემო პირობებს.

2. ავტოსატრანსპორტო საშუალება დატვირთული უნდა იქნეს "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. მსხვილგაბარიტიანი და მძიმეწონიანი ტვირთის გადაზიდვა, კანონმდებლობით ნებადართულ გაბარიტებსა და წონით პარამეტრებთან მისი კორექტირების შეუძლებლობის შემთხვევაში, რეგულირდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 3 აგვისტოს №956/1-1/746 ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული "საავტომობილო ტრანსპორტით არაგაბარიტული (მსხვილგაბარიტიანი) და ზენორმატიული (მძიმეწონიანი) ტვირთების გადაზიდვის მარშრუტის შერჩევის და უსაფრთხოდ გადაადგილების წესის დამტკიცებისა და შესაბამისი რეკომენდაციის გაცემის შესახებ" დამტკიცებული "საავტომობილო ტრანსპორტით არაგაბარიტული (მსხვილგაბარიტიანი) და ზენორმატიული (მძიმეწონიანი) ტვირთების გადაზიდვის მარშრუტის შერჩევის, უსაფრთხოდ გადაადგილებისა და შესაბამისი რეკომენდაციის გაცემის წესის" საფუძველზე.

3. ტვირთებს, რომელთა დატვირთვა-გადმოტვირთვა შესაძლებელია მხოლოდ მექანიზირებული საშუალებებით, უნდა გააჩნდეთ სპეციალური სამარჯვი (მარყუჭი, შვერილი და სხვა).

4. ხის ტარა (ყუთები, დოლები, კოჭები, შესაფუთი ბლოკები, სამაგრი მერქანი, სადებები და ა.შ), რომლებიც გამოიყენება საერთაშორისო ტვირთგადაზიდვების დროს, უნდა პასუხობდეს ფიტოსანიტარიული ზომების მე-15 საერთაშორისო სტანდარტით - "საერთაშორისო ვაჭრობაში ხის შესაფუთი მასალის რეგულირების სახელმძღვანელო" (ISPM N15 FAO 2002) - გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ამ სტანდარტის შესაბამისად უნდა იყოს მარკირებული.

მუხლი 9. სახიფათო ტვირთის გადაზიდვა

1. სახიფათო ტვირთი საშიშროების ტიპის მიხედვით იყოფა 9 კლასად საერთაშორისო ნორმებისა და წესების შესაბამისად.

2. ზოგიერთი კლასის სახიფათო ტვირთი ტრანსპორტირებისას მისი ფიზიკურ - ქიმიურ თვისებების, სახეობისა და საშიშროების ხარისხის მიხედვით იყოფა ქვეკლასებად.

3. სახიფათო ტვირთი საერთაშორისო გადაზიდვებისას აღინიშნება გაეროს მიერ მინიჭებული ოთხციფრა კოდით.

4. ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, რომლითაც გადაიზიდება სახიფათო ტვირთი, სამართავად დაიშვებიან მძღოლები მუშაობის არანაკლებ სამი წლის სტაჟით.

5. სახიფათო ტვირთის გადაზიდვისას მძღოლი წინამდებარე წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებასთან ერთად ვალდებულია:

ა) სახიფათო ტვირთის მიღებისას შეამოწმოს ტვირთსა და/ან ტარაზე მარკირების (დანართი №5) არსებობა;

ბ) საგზაო სატრანსპორტო ან/და საგანგებო შემთხვევებში იმოქმედოს კონკრეტული სახის სახიფათო ტვირთის გადაზიდვაზე არსებული წესის, ტექნიკური პირობების და ტვირთის გამგზავნის მიერ გაცემული წერილობითი ინსტრუქციის შესაბამისად, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ბ.ა) სახიფათო ტვირთის დასახელება, "სახიფათო ტვირთების გადაზიდვის შესახებ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტიპიური წესების შესაბამისად (ST/SG/AC.10/1/Rev(vol.1));

ბ.ბ) ტვირთის საშიშროების კლასი;

ბ.გ) სპეციალური აღჭურვილობის შესახებ ჩამონათვალი;

ბ.დ) გადასაზიდი სახიფათო ნივთიერებების საშიშროების ხასიათი, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევებში, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები;

ბ.ე) ზომები, რომლებიც უნდა იქნეს მიღებული ზარალის მინიმუმამდე დაყვანის ან აცილებისათვის, ხანძრის, ტარის ან გადასაზიდი სახიფათო ტვირთის დაზიანების, ნივთიერებების დაღვრის და მათთან ადამიანთა შეხების შემთხვევაში;

ბ.ვ) ავტოციტერნით ან კონტეინერ-ციტერნით 3 000 ლიტრზე მეტი საერთო ტევადობით და/ან 3,5 ტონაზე მეტი მაქსიმალური დასაშვები მასით გადასაზიდი ტვირთისათვის, რომელიც მითითებულია სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების ევროპულ შეთანხმებაში - ტვირთის კლასი, ნივთიერების საიდენტიფიკაციო ნომრის და საშიშროების დასახელებით;

ბ.ზ) სახიფათო ტვირთით ავტოსატრანსპორტო საშუალების გაჩერებისა და დგომის (მათ შორის ღამისთვის) წესები;

გ) საჭიროების შემთხვევაში მიიღოს ხანძარსაწინააღმდეგო ზომები;

დ) სახიფათო ტვირთის დატვირთვა - გადმოტვირთვის სამუშაოების ჩასატარებლად გააჩნდეს ინსტრუქციით გათვალისწინებული აუცილებელი აღჭურვილობა;

ე) იმოდროს შეთანხმებული მარშრუტით და დაიცვას მოძრაობის დადგენილი სიჩქარე.

6. სახიფათო ტვირთის გადაზიდვისას მძღოლს ეკრძალება:

ა) საწვავით გამართვა ავტოგასამართ სადგურებში საერთო სარგებლობის სვეტებიდან (ფეთქებადი და ცეცხლსაშიში ნივთიერების გადაზიდვის შემთხვევაში);

ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალების მკვეთრი დაძვრა და დამუხრუჭება;

გ) იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების გასწრება, რომელიც მოძრაობს 30 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით;

დ) გამორთული ძრავით ან/და გადაბმულობით მოძრაობა;

ე) თამბაქოს მოწევა ავტოსატრანსპორტო საშუალების სალონში;

ვ) ავტოსატრანსპორტო საშუალების გაჩერება/დგომა ცეცხლის კერისგან 200 მეტრით ნაკლებ მანძილზე;

ზ) ავტოსატრანსპორტო საშუალების უმეთვალყურეოდ დატოვება;

თ) სხვა ტვირთის გადაზიდვა ან/და იმ პირების გადაყვანა, რომლებიც არ არიან ავტოსატრანსპორტო საშუალების ეკიპაჟის წევრები.

7. სახიფათო ტვირთის გადაზიდვისათვის საგზაო სატრანსპორტო დოკუმენტაციის წარმოება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. სახიფათო ტვირთის გადაზიდვისას მძღოლმა თან უნდა იქონიოს:

ა) სერტიფიკატი მძღოლის სპეციალური მომზადების შესახებ (დანართი №2);

ბ) გადაზიდვის მარშრუტის სქემა წინამდებარე წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

გ) მძღოლებისათვის განკუთვნილი წერილობითი ინსტრუქცია;

დ) სასუნთქი ორგანოებისა და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებები წერილობითი ინსტრუქციით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

ე) ავტოსატრანსპორტო საშუალების სერვისის წიგნაკი;

ვ) საერთაშორისო გადაზიდვების განხორციელებისას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ ქართულ და ინგლისურ ენებზე გაცემული სატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობა განსაზღვრულ სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე (დანართი №1);

ზ) ბირთვული და რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიაქტიური ნივთიერებებისა და რადიაქტიური ნარჩენების, აგრეთვე "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა სახის სახიფათო ტვირთის ტრანსპორტირებისას საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზია/ნებართვა ან ლიცენზიის/ნებართვის სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

9. ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლითაც ხორციელდება სახიფათო ტვირთების გადაზიდვა უნდა პასუხობდეს ამ წესის მე-5 მუხლში მოყვანილ მოთხოვნებს და უნდა იყოს აღჭურვილი:

ა) ავტოსატრანსპორტო საშუალების წინა და უკანა მხარეს ნარინჯისფერი ტაბლოთი (დანართი №4). ერთი და იმავე სახის სახიფათო ტვირთის გადაზიდვისას, ნარინჯისფერი ტაბლოების ნაცვლად შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ საშიშროების კლასის აღმნიშვნელი ნიშნები (დანართი 5);

ბ) დაგორების საწინააღმდეგო საბჯენებით, რომლის ზომა უნდა შეესაბამებოდეს ავტოსატრანსპორტო საშუალების მაქსიმალურად დასაშვებ მასასა და საბურავების დიამეტრს;

გ) არანაკლებ 200 მმ სიგრძის დამიწების ჯაჭვით;

დ) ავტონომიურ კვებაზე მომუშავე ორი მაფრთხილებელი ყვითელი ფერის მოციმციმე მაშუქით;

ე) სათანადო მაფრთხილებელი სპეციალური კაშკაშა ფერის ტანსაცმლით (ამრეკლით) ეკიპაჟის ყოველი წევრისათვის;

ვ) ხელის მაშუქით (ფანარით) ეკიპაჟის ყოველი წევრისათვის;

ზ) 2 ან/და 4 ან/და 8 ან/და 12 კილოგრამიანი ცეცხლსაქრობით, რომლებსაც უნდა ჰქონდეს აღნიშვნები გავლილი შემოწმების შესახებ;

თ) ხელსაწყო-ინსტრუმენტებით ავტოსატრანსპორტო საშუალების ავარიული რემონტისათვის;

ი) ხისტი ბუქსირით, ხოლო ზამთრის პერიოდში მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით.

10. ფეთქებად და რადიაქტიურ ნივთიერებათა გადასაზიდ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს უკან ორივე მხარეს დამატებით უკეთდება საშიშროების კლასის აღმნიშვნელი ნიშანი.

11. ნარინჯისფერი ტაბლოს დემონტაჟი ხდება ავტოსატრანსპორტო საშუალების სრული გადმოტვირთვის შემდეგ.

12. სახიფათო ტვირთის გადაზიდვის დროს ნარინჯისფერი ტაბლოებით მარკირებამ უნდა უზრუნველყოს ტვირთის იდენტიფიკაციის ჩატარების საშუალება.

13. სახიფათო ტვირთის გადასაზიდი ავტოსატრანსპორტო საშუალების ელექტრომოწყობილობა უნდა აკმაყოფილებდეს მის მიმართ დადგენილ მოთხოვნებს.

14. ფურგონის ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალების ძარა უნდა იყოს მთლიანად დახურული, არ უნდა გააჩნდეს ღრეჩოები და აღჭურვილი უნდა იყოს გადასაზიდი სახიფათო ტვირთის თვისებების შესაბამისი სავენტილაციო სისტემით.

15. ავტოსატრანსპორტო საშუალებას უკან, ცისტერნის მთელ სიგანეზე უნდა ჰქონდეს დარტყმებისაგან დამცავი ბამპერი, ხოლო ცისტერნის უკანა კედელსა და ბამპერის უკანა ნაწილს შორის მანძილი უნდა იყოს არანაკლებ 100 მმ.

16. სახიფათო ტვირთის გადაზიდვის დროს დაუშვებელია:

ა) აირზე მომუშავე ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენება;

ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ერთზე მეტი მისაბმელის ან ნახევარმისაბმელის ჩაბმა.

17. სახიფათო ტვირთის დატვირთვის დაწყებამდე უნდა განხორციელდეს როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალების ისე ტვირთის მარკირება. ავტოსატრანსპორტო საშუალება გაიწმინდოს და მასში ტვირთი ისე მოთავსდეს, რომ გადაზიდვის პროცესში თავიდან იქნეს აცილებული მისი გადაადგილება.

18. წერილობითი ინსტრუქცია უნდა იყოს შევსებული მძღოლისათვის გასაგებ ენაზე და ერთი ეგზემპლარი ინახებოდეს მძღოლთან. საერთაშორისო გადაზიდვების დროს ინსტრუქცია შედგენილი უნდა იქნეს ტვირთის წარმოქმნის ქვეყნის ენაზეც. თუ ტრანზიტის ან დანიშნულების ქვეყნის ენა განსხვავდება, მაშინ ინსტრუქცია უნდა იქნეს შედგენილი ამ ქვეყნის ენაზეც.

19. განსაკუთრებით სახიფათო ტვირთის (პირველი და/ან მეშვიდე კლასის) გადაზიდვა ხორციელდება სახიფათო ნივთიერების მწარმოებლის სპეციალური ინსტრუქციის შესაბამისად.

20. განსაკუთრებით სახიფათო ტვირთის გადაზიდვის შემთხვევაში ტვირთის გამგზავნისა და ტვირთის მიმღების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ინიშნება სპეციალური პასუხისმგებელი პირი, რომელიც ვალდებულია სრულყოფილად ფლობდეს ინფორმაციას სახიფათო ტვირთის თვისებებისა და მისადმი მოპყრობის შესახებ.

21. სახიფათო ტვირთის გადაზიდვისას, რომელიც არ მიეკუთვნება განსაკუთრებით სახიფათო ტვირთებს, პასუხისმგებელი პირის გამოყოფის საკითხი განისაზღვრება ტვირთის გამგზავნისა და ტვირთის მიმღების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

22. სახიფათო ტვირთის საერაშორისო გადაზიდვის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს (კონსულტანტს) უნდა გააჩნდეს შესაბამისი ორგანიზაციის მიერ გაცემული პროფესიული მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტი ევროსაბჭოს 1996 წლის 3 ივნისის დირექტივის №96/35/ EC და 2000 წლის 17 აპრილის დირექტივის №2000/18 EC-ის შესაბამისად.

23. სახიფათო ტვირთის ტრანსპორტირების მარშრუტის შემუშავება ხორციელდება გადამზიდველის მიერ.

24. ტრანსპორტირების მარშრუტი ისე უნდა იქნეს შერჩეული, რომ მაქსიმალურად გამორიცხავდეს სახიფათო ტვირთის ტრანსპორტირებას:

ა) მნიშვნელოვანი მსხვილი სამრეწველო ობიექტის ახლოს, დასვენების ზონაში, კულტურული მემკვიდრეობის, ბუნებრივი ნაკრძალების და სხვა განსაკუთრებით დასაცავ ტერიტორიებზე;

ბ) მსხვილ დასახლებულ პუნქტში გადაზიდვის განხორციელების აუცილებლობის შემთხვევაში სანახაობითი, კულტურულ-საგანმანათლებლო, სასწავლო, სკოლამდელი და სამკურნალო დაწესებულებების ახლოს და უნდა ითვალისწინებდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაჩერებისა და საწვავით გასამართ ადგილებს.

25. ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობის მარშრუტი უნდა იქნეს შეთანხმებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციისა და საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტებთან შემდეგ შემთხვევებში:

ა) განსაკუთრებით სახიფათო ტვირთის გადაზიდვისას;

ბ) სახიფათო ტვირთის გადაზიდვისას, რომელიც სრულდება რთულ საექსპლუატაციო პირობებში;

გ) სახიფათო ტვირთის გადაზიდვისას, რომელიც სრულდება სამზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით კოლონაში.

26. სახიფათო ტვირთის ტრანსპორტირების მარშრუტის შეთანხმებისათვის გადამზიდველი ვალდებულია გადაზიდვის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 დღისა, წარუდგინოს საქართველოს შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს შემდეგი საბუთები:

ა) სახიფათო ტვირთის გადაზიდვისათვის შემუშავებული მარშრუტი ოთხ ეგზემპლარად (დანართი 3);

ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობა განსაზღვრულ სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე (დანართი 1);

გ) სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე მძღოლის სპეციალური მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი დედანთან ერთად (დედანი უბრუნდება გადამზიდველს);

დ) ავტოსატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო ტესტირების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი დედანთან ერთად (დედანი უბრუნდება გადამზიდველს);

ე) განსაკუთრებით სახიფათო ტვირთისათვის, ტვირთის გამგზავნის (ტვირთის მიმღების) მიერ დამატებით წარმოდგენილი სპეციალური ინსტრუქცია სახიფათო ტვირთის გადაზიდვაზე.

27. შეთანხმებული მარშრუტის ერთი ეგზემპლარი ინახება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, მეორე - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტში, მესამე - გადამზიდველთან, ხოლო მეოთხე - მძღოლთან.

28. სახიფათო ტვირთის ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებზე ზედამხედველობას ახორციელებს ტვირთის გამგზავნისა და ტვირთის მიმღების ურთიერთშეთანხმებით გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ევალება ტვირთის გაცილება.

29. სახიფათო ტვირთის გადაზიდვისას გამცილებელი პირის ინსტრუქტაჟის ჩატარებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება გადამზიდველს.

30. სახიფათო ტვირთების გაცილებაზე პასუხისმგებელი პირის მოვალეობაში შედის:

ა) ტვირთის გაცილება და მისი ხელყოფისაგან დაცვა;

ბ) დაცვის თანამშრომლის(ების) და მძღოლის ინსტრუქტაჟი;

გ) გარეგანი დათვალიერება (შეფუთვის სისწორის და ტვირთის მარკირების შემოწმება);

დ) დატვირთვისას ტვირთის განლაგებაზე მეთვალყურეობა;

ე) უსაფრთხოების წესების დაცვა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისა და დგომის დროს;

ვ) მომსახურე პერსონალის პირადი უსაფრთხოება;

ზ) ტვირთის ჩაბარება დანიშნულების ადგილზე.

31. განსაკუთრებით სახიფათო ტვირთის გადაზიდვა დასაშვებია მხოლოდ;

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებით;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტში ტვირთის გადაზიდვის თარიღის (თვე და რიცხვი) შესახებ წერილობითი ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე;

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის (სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე) ჯგუფის, სპეციალური აღჭურვილობისა (ხმამაღლა მოლაპარაკე, სანათი და ხმოვანი სიგნალები) და შეფერილობის ავტოსატრანსპორტო საშუალების თანხლებით.

32. სახიფათო ტვირთის ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებზე კონტროლს ახორციელებს ტვირთის გამგზავნის (ტვირთის მიმღების) პასუხისმგებელი პირი.

33. კოლონაში მოძრაობისას ტვირთის გამგზავნის (ტვირთის მიმღების) მიერ გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი ვალდებულია იმყოფებოდეს პირველი

ავტოსატრანსპორტო საშუალების კაბინაში, ხოლო კოლონის ბოლო ავტოსატრანსპორტო საშუალებაში უნდა იმყოფებოდეს დაცვის ერთ-ერთი წარმომადგენელი.

34. კასრებით სახიფათო ტვირთის გადაადგილება, დატვირთვა – გადმოტვირთვა და დასაწყობება დასაშვებია მხოლოდ სპეციალური მოწყობილობების გამოყენებით.

35. ავტოსატრანსპორტო საშუალების დატვირთვა დასაშვებია მისი ტვირთამწეობის სრულ გამოყენებამდე, ხოლო განსაკუთრებით სახიფათო ტვირთის კი იმ მოცულობით და წესით, რომელიც მოცემულია მისი დამამზადებლის სპეციალურ ინსტრუქციაში.

36. სახიფათო ტვირთის დატვირთვა - გადმოტვირთვის ოპერაციები უნდა წარმოებდეს სპეციალურად მოწყობილ ადგილებზე, ავტოსატრანსპორტო საშუალების გამორთული ძრავით, უსაფრთხოების წესების დაცვით. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დაყენებული ამწე მექანიზმის მოძრაობაში მოყვანა ხორციელდება ძრავის მუშაობით.

37. აკრძალულია:

ა) უცხო პირთა ყოფნა სახიფათო ტვირთის დატვირთვა - გადმოტვირთვის ადგილზე;

ბ) ფეთქებადი და ცეცხლსაშიში სახიფათო ტვირთის დატვირთვა - გადმოტვირთვის სამუშაოების შესრულება რთული მეტეოროლოგიური (ჭექა-ქუხილი) პირობების დროს;

გ) დატვირთვა - გადმოტვირთვის მექანიზმის გამოყენება, რომელმაც შეიძლება შექმნას ტარის დაზიანებისა და ტვირთის ჩამოვარდნის საფრთხე (ამწე სატრანსპორტო მოწყობილობები უნდა შეესაბამებოდეს უსაფრთხოების მოთხოვნებს);

დ) დაზიანებული შეფუთვით სახიფათო ტვირთის დატვირთვა და მისი გადაზიდვა.

38. სახიფათო ნივთიერებებით ცისტერნის შევსებისას და დაცლის დროს, მიღებული უნდა იქნეს ზომები ავტოსატრანსპორტო საშუალების ელექტრული დამიწების უზრუნველყოფისათვის.

39. ლიპყინულის შემთხვევაში სახიფათო ტვირთის დატვირთვა - გადმოტვირთვის ტერიტორია დაფარული უნდა იქნეს ქვიშით.

40. საერთო სარგებლობის ავტოგასამართ სადგურებში ფეთქებადი და ცეცხლსაშიში ნივთიერებით დატვირთული ავტოსატრანსპორტო საშუალების საწვავ - საცხები მასალებით გამართვა უნდა განხორციელდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე, რომელიც ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან დაშორებული უნდა იყოს არანაკლებ 25 მეტრი მანძილით.

41. სახიფათო ტვირთის გადაზიდვისას, ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა (კონკრეტული საგზაო პირობების გათვალისწინებით) ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტთან გადაზიდვის მარშრუტის შეთანხმების დროს.

42. მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვის შემთხვევაში, ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე უნდა დამონტაჟდეს შეზღუდვის აღმნიშვნელი ნიშანი.

43. სახიფათო ტვირთის კოლონით გადაზიდვისას დაცული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები:

ა) გზის ჰორიზონტალურ მონაკვეთებზე მოძრაობისას ავტოსატრანსპორტო საშუალებებს შორის დისტანცია უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 მეტრს, ხოლო გზის მნიშვნელოვანი ქანობის (აღმართი, დაღმართი) შემთხვევაში არანაკლებ 300 მეტრს;

ბ) 300 მეტრზე ნაკლები ხილვადობის პირობებში (ნისლი, თოვლი, წვიმა და ა.შ.) შეიძლება აიკრძალოს ზოგიერთი სახიფათო ტვირთის გადაზიდვა, რომლის შესახებ მითითებული უნდა იქნეს გადაზიდვის ინსტრუქციაში;

გ) განსაკუთრებით სახიფათო ტვირთის გადაზიდვის დროს, ხუთი და მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებისაგან შედგენილი კოლონის შემადგენლობაში უნდა იყოს ტვირთის გარეშე სარეზერვო ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც უნდა მოძრაობდეს კოლონის ბოლოს.

44. დასახლებულ პუნქტებში განსაკუთრებით სახიფათო ტვირთის გადაზიდვის დროს დგომა დასაშვებია მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილში, რომელიც დაშორებული უნდა იქნეს არა ნაკლებ 200 მეტრით საცხოვრებელი და ხალხის თავშეყრის ადგილებიდან.

45. ავტოსატრანსპორტო საშუალების გაჩერების ან დგომის დროს გამოყენებულ უნდა იქნეს დგომის მუხრუჭი, ხოლო ქანობზე გაჩერებისას დაგორების საწინააღმდეგო სოლები.

46. სახიფათო ტვირთით ავტოსატრანსპორტო საშუალების გაჩერების და დგომის (მათ შორის ღამისთვის) წესი აღნიშნული უნდა იქნეს ინსტრუქციაში.

47. სახიფათო ტვირთის გადაზიდვის დასრულებისას ტარის გაწმენდის შემდეგ სასაქონლო ზედნადებში ტვირთმიმღების მიერ კეთდება აღნიშვნა «ტარა გასუფთავებულია» და მისი გადაზიდვა ხორციელდება როგორც არასახიფათო ტვირთისა, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით.

48. რეისის დამთავრების შემდეგ უნდა მოხდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მარკირების ნიშნების დემონტაჟი და სახიფათო ტვირთთან დაკავშირებული დოკუმენტების სათანადო წესით ტვირთმიმღებისათვის ჩაბარება.

49. ბირთვული მასალებისა და რადიოაქტიურ ნივთიერებათა (მემვიდე კლასი) გადაზიდვა უნდა განხორციელდეს „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, წინამდებარე წესისა და ამ სფეროში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 10. მალფუჭებადი ტვირთის გადაზიდვა

მალფუჭებადი ტვირთის გადაზიდვა რეგულირდება საერთაშორისო შეთანხმების (ჟენევა 1970 წლის 1 სექტემბერი) „მალფუჭებადი საკვები პროდუქტების საერთაშორისო გადაზიდვების და ამ გადაზიდვებისათვის განკუთვნილი სპეციალური სატრანსპორტო საშუალებების შესახებ“ საფუძველზე.

მუხლი 11. ცხოველების გადაზიდვა

1. ცხოველების გადაზიდვა რეგულირდება „ცხოველების დაცვის შესახებ მათი ტრანსპორტირებისას“ ევროსაბჭოს 1991 წლის 19 ნოემბრის EC N 91/628 EEC დირექტივის შესაბამისად.

2. ცხოველების გადაზიდვის დროს დაუშვებელია ცხოველებთან ერთად სხვა ტვირთის გადაზიდვა, რომელსაც შეუძლია ცხოველების დაზიანება.

3. ცხოველების გადაზიდვისათვის განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება უნდა პასუხობდეს დადგენილ ტექნიკურ და სანიტარულ მოთხოვნებს.

4. ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ცხოველების დატვირთვის, განთავსების და მათი გადაზიდვის პირობებს ადგენს ტვირთის გამგზავნი ავტოსატრანსპორტო საშუალების ტიპის, ცხოველების სახეობისა და წლოვანების, გადაზიდვის ხანგრძლივობის, წლის პერიოდის, გზის მდგომარეობის, ავტოსატრანსპორტო საშუალების ტვირთამწეობის, ტევადობის და სხვა პარამეტრების გათვალისწინებით.

5. ცხოველების გადაზიდვისას ავტოსატრანსპორტო საშუალება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გამცილებელი პირით ცხოველების რაოდენობის მიუხედავად. ავტოსატრანსპორტო საშუალებების კოლონით მოძრაობისას დასაშვებია 2-3 ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის ერთი გამცილებლის გამოყოფა. გამცილებლის ვალდებულებაში შედის ცხოველების გადასაზიდად მიღება, გზაში მათი მოვლა, დაცვა, თვალთვალი და ტვირთის მიმღებისათვის ჩაბარება.

6. ცხოველების გადაზიდვის პროცესის დაწყებამდე ტვირთის გამგზავნმა უნდა უზრუნველყოს გამცილებელი თანმხლები დოკუმენტაციით (ვეტერინარული ან ჯამრთელობის სერტიფიკატი (მოწმობა), სასაქონლო ზედნადები და სხვა).

7. საქართველოს ტერიტორიაზე ცხოველების გადაზიდვის განხორციელებისას გზაში ცხოველების დაავადების შემთხვევაში გამცილებელი ვალდებულია აცნობოს აღნიშნულის შესახებ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს უახლოეს ტერიტორიულ ორგანოს. მოძრაობის გაგრძელება დანიშნულების პუნქტამდე დასაშვებია აღნიშნული სამმართველოს ვეტერინარი სპეციალისტის თანხმობით.

8. ცხოველების გადმოტვირთვის შემდეგ ტვირთის მიმღები ვალდებულია განხორციელოს ავტოსატრანსპორტო საშუალების ვეტერინარულ-სანიტარიული დამუშავება (მექანიკური დასუფთავება, გარეცხვა და დეზინფექცია).

მუხლი 12. საყარი და თხევადი ტვირთების გადაზიდვა

1. საყარი და თხევადი ტვირთების გადაზიდვა, მათ შორის ავტომობილ-ცისტერნებით უნდა განხორციელდეს სპეციალიზებული ავტოსატრანსპორტო საშუალებით.

2. საყარი და თხევადი ტვირთების გადაზიდვისას მისი დატვირთვა-გადმოტვირთვა და განთავსება უნდა განხორციელდეს დამამზადებლის მიერ დადგენილი წესით.

3. საყარი და თხევადი ტვირთების გადაზიდვისას ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია ტრანსპორტირებისას გამორიცხოს ტვირთის გაბნევა/დაღვრა სავალ ნაწილზე. გზაზე ტვირთის გაბნევა/დაღვრის შემთხვევაში, შეწყვიტოს მოძრაობა და მიიღოს ზომები აღნიშნულის გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად.

4. ტვირთის გამგზავნმა მექანიზირებული საშუალებებით საყარი ტვირთის დატვირთვისას უნდა გაითვალისწინოს, რომ ტვირთის მასა ამწე სატრანსპორტო მექანიზმის ციკვით დატვირთვის ერთი ციკლისათვის არ უნდა აღემატებოდეს ავტოსატრანსპორტო საშუალების ტვირთამწეობის 1/3-ს.

5. საყარი ტვირთი ისე უნდა იქნეს დატვირთული, რომ მისი ტრანსპორტირებისას გამორიცხული იქნას გადმოყრის შესაძლებლობა.

6. თხევადი ტვირთის გადაზიდვისას უნდა გამოირიცხოს ტრანსპორტირებისას გადასაზიდი ტვირთის საექსპლუატაციო მაჩვენებლების გაუარასება.

7. ცისტერნით ტვირთის გადაზიდვისას:

ა) ტვირთის მიმღები ვალდებულია განახორციელოს ტვირთის გადასხმის შემდეგ ცისტერნის შიდა და გარე მხარეების გარეცხვა და დეზინფექცია, ცისტერნის ლიუკებისა და სადინარი მილსადენების დალუქვა (საჭიროების შემთხვევაში), თუ გადაზიდვის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ბ) უსაფრთხოების პირობებიდან გამომდინარე გადაზიდვისას მძღოლის მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს არასრულად შევსებული ცისტერნის დაბალი მდგრადობა.

მუხლი 13. ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვა

ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო კონვენციების, «საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ სამთავრობათაშორისო შეთანხმებისა» და ECMT-ს რეზოლუციების საფუძველზე.

მუხლი 14. მოთხოვნები ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ განსაზღვრული სახიფათო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვაზე დაშვებისათვის

1. მოთხოვნები ელექტრომოწყობილობის მიმართ:

ა) **ელექტროგაყვანილობა** – უნდა იყოს საიმედოდ დამაგრებული და დაცული მექანიკური და თერმული ზემოქმედებებისაგან. სადენები უნდა იყოს საიმედოდ იზოლირებული და ისეთი დიამეტრის, რომ თავიდან იქნეს აცილებული მათი გადახურება. ყველა ელექტრული წრედი უნდა იყოს დაცული დნობადი მცველებით ან ავტომატური ამომრთველებით გარდა წრედებისა, რომლებიც აერთიანებენ::

ა.ა) აკუმულატორთა ბატარეას ძრავას ცივი ამუშავებისა და გაჩერების სისტემასთან;

ა.ბ) აკუმულატორთა ბატარეას გენერატორთან;

ა.გ) გენერატორს დნობადი მცველების ან ამომრთველების ბლოკთან;

ა.დ) აკუმულატორთა ბატარეას სტარტერთან;

ა.ე) აკუმულატორთა ბატარეას ცვეთამდეგი სამუხრუჭო მექანიზმის ჩართვის სისტემის კორპუსთან, თუ ეს სისტემა ელექტრული ან ელექტრომაგნიტურია;

ა.ვ) აკუმულატორთა ბატარეას ურიკას ბალანსირის ღერძის ამწე ელექტრომექანიზმთან.

ბ) აკუმულატორთა ბატარეის მთავარი გადამრთველი:

ბ.ა) ელექტროწრედის განრთვისათვის განკუთვნილი გადამრთველი უნდა იყოს დაყენებული აკუმულატორის ბატარეასთან ახლოს. თუ გამოიყენება ერთპოლუსიანი გადამრთველი ის უნდა იყოს დაყენებული კვების სადენზე და არა დამიწების;

ბ.ბ) გადამრთველის მართვის მოწყობილობა უნდა იყოს დაყენებული მძღოლის კაბინაში. ის უნდა იყოს მარკირებული, ადვილად ხელმისაწვდომი მძღოლისათვის და

დაცული შემთხვევითი ჩართვისაგან დამცავი გარსაცმით, ორმაგი ამომრთველით ან სხვა საშუალებით;

ბ.გ) გადამრთველს უნდა გააჩნდეს გარსაცმი;

ბ.დ) ელექტროკონტაქტები დაცული უნდა იყოს გარსაცმით და იზოლირებული მაგალითად რეზინის ხუფით, მოკლე შერთვისაგან დაცვის მიზნით.

გ) აკუმულატორთა ბატარეა – აკუმულატორთა ბატარეას გამომყვანები უნდა იყოს ელექტროიზოლირებული ან დახურული აკუმულატორის ყუთის საიზოლაციო ხუფით. თუ აკუმულატორთა ბატარეა მოთავსებულია ძრავას კაპოტის ქვეშ, უნდა ხდებოდეს მისი ვენტილაცია;

დ) მუდმივად ელექტრული წრედის ძაბვის ქვეშ მყოფი

ელექტრომოწობილობის ნაწილები:

დ.ა) ელექტრომოწობილობის ნაწილები (შემაერთებელი სადენების ჩათვლით), რომლებიც უნდა იმყოფებოდნენ ძაბვის ქვეშ აკუმულატორთა ბატარეის მთავარი გადამრთველის კონტაქტების განრთვისას, უნდა იყოს გათვლილი სახიფათო ზონებში გამოყენებისათვის და პასუხობდეს საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის (სეკ) 60079 სტანდარტის მოთხოვნებს. მუდმივად ძაბვის ქვეშ მყოფი კვების სადენები დაცული უნდა იყოს ენერჯის წყაროსთან რაც შეიძლება ახლოს დაყენებული მცველით ან წრედის ავტომატური მწყვეტარით;

დ.ბ) შემოვლითი შეერთებები აკუმულატორთა ბატარეის მთავარ გადამრთველთან, რომლებიც უნდა იმყოფებოდნენ ძაბვის ქვეშ აკუმულატორთა ბატარეის მთავარი გადამრთველის კონტაქტების განრთვისას, უნდა იყოს დაცული გადახურებისაგან შესაბამისი საშუალებებით, როგორცაა დნობადი მცველი, ავტომატური ამომრთველი ან დამცავი ბარიერი (დენის შემზღუდველი).

ე) ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლის კაბინის უკან განლაგებული ელექტრომოწობილობის ნაწილები:

ე.ა) აღნიშნული ბლოკი ისე უნდა იყოს კონსტრუირებული, დამზადებული და დაცული, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში არ მოხდეს მასში ცეცხლის მოდება (აალება) ან/და მოკლე შერთვა, აგრეთვე დარტყმის ან დეფორმაციის შემთხვევაშიც ეს საშიშროება დაყვანილ იქნეს მინიმუმამდე;

ე.ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალების ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში მძღოლის კაბინის უკან განლაგებული ელექტროგაყვანილობა უნდა იყოს დაცული დარტყმისაგან და გაცვეთისაგან;

ე.გ) არ დაიშვება ვარვარის ნათურის გამოყენება, რომელსაც გააჩნია კუთხვილიანი ცოკოლი;

ე.დ) ავტოსატრანსპორტო საშუალებებსა და მისაბმელებს შორის ელექტრული შეერთებები უნდა იყოს მოწყობილი ისე, რომ გამორიცხული იქნეს მათი შემთხვევითი გაწყვეტის შესაძლებლობა.

2. მოთხოვნები სამუხრუჭო სისტემის მიმართ:

ა) **საერთო დებულებები** – სახიფათო ტვირთების გადასაზიდად განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების და მისაბმელების სამუხრუჭო სისტემა უნდა აკმოფილებდეს გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისიის (ეეკ) N 13 წესების “M, N და O კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების ოფიციალურ დამტკიცებასთან

დაკავშირებული ერთსახოვანი მითითებები დამუხრუჭებასთან მამართებაში” მოთხოვნებს;

ბ) მისაბმელების საავარიო სამუხრუჭო სისტემა – მისაბმელი უნდა იყოს აღჭურვილი:

ბ.ა) ეფექტური სამუხრუჭო სისტემით, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნება მისი შეკავება საბუქსირე ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან გადაბმის გაწყვეტის შემთხვევაში;

ბ.ბ) ეფექტური სამუხრუჭო მოწყობილობით, რომელიც იმოქმედებს ყველა თვალზე, გააქტიურდება სატრანსპორტო საშუალება-საწევარის სამუშაო მუხრუჭის მეშვეობით და უზრუნველყოფს მისაბმელის ავტომატურ გაჩერებას გადაბმის გაწყვეტის შემთხვევაში.

3. ხანძრის წარმოშობის საშიშროების აცილება:

ა) სატრანსპორტო საშუალების მძღოლის კაბინა – თუ კაბინა არ არის დამზადებული სუსტი წვადობის მასალისაგან, მის უკან უნდა იყოს დამონტაჟებული ეკრანი ლითონის ან სხვა სათანადო მასალისაგან, რომლის სიგანე უნდა იყოს ცისტერნის სიგანის ტოლი. კაბინის უკანა კედლის ან ეკრანის ყველა ფანჯარა უნდა იყოს ჰერმეტიულად დახურული და დამზადებული ცეცხლგამძლე უნამსხვრევო შუშისაგან ცეცხლგამძლე ჩარჩოთი. ამასთანავე, ცისტერნასა და კაბინას ან ეკრანს შორის უნდა რჩებოდეს არა ნაკლები 15 სმ სიგრძის თავისუფალი მანძილი;

ბ) საწვავის ავზები:

ბ.ა) ნებისმიერი გაჟონვის შემთხვევაში საწვავი უნდა იღვრებოდეს მიწაზე და არ ხვდებოდეს სატრანსპორტო საშუალების გახურებულ ნაწილებზე ან ტვირთზე;

ბ.ბ) საწვავის ავზები, რომლებიც ბენზინისათვის გამოიყენება, აღჭურვილი უნდა იყოს ჩასასხმელი ყელის დამცავი ეფექტური ალამრეკლი საფარით, ან მოწყობილობით, რომელიც ავზის ყელის ჰერმეტიულად დახურვის საშუალებას იძლევა;

გ) ძრავა – უნდა იყოს მოწყობილი და განლაგებული ისე, რომ ტვირთს არ შეექმნას გადახურების ან ცეცხლის მოკიდების საფრთხე. EX/II და EX/III ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის გამოყენებული უნდა იყოს კუმშვით აალებადი (დიზელის) ძრავა;

დ) გამონაბოლქვი აირების გამოშვების სისტემა – უნდა იყოს განლაგებული და დაცული ისე, რომ ტვირთს არ შეექმნას გადახურების ან ცეცხლის მოკიდების საფრთხე. საწვავის ავზის ქვეშ განლაგებული გამოსაბოლქვი სისტემის ნაწილები უნდა იქნენ მისგან დამორებული მინიმუმ 100 მმ ან გამოყოფილი ავზისაგან თბოდამცავი ეკრანით. ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომლებითაც სისტემატურად ხორციელდება ასაფეთქებელი და ადვილად ალებადი სახიფათო ტვირთების გადაზიდვა, აღჭურვილი უნდა იყოს ისეთნაირად, რომ მაყუჩის მილი გამოდიოდეს რადიატორის წინ, ქვემოთ დახრილ მდგომარეობაში. თუ ძრავის განლაგება აღნიშნულის საშუალებას არ იძლევა, მაშინ შესაძლებელია მაყუჩის მილი გამოვიდეს მარჯვენა მხარეს მარის, ცისტერნის და საწვავის გაყვანილობისაგან მოცილებით. 1, 2, 3, 4 და 5 კლასის სახიფათო ტვირთების ერთჯერადი გადაზიდვისას შესაძლებელია მაყუჩის მილის ბოლოში ნაპერწკალჩამხშობი ბადის გამოყენება;

ე) ავტოსატრანსპორტო საშუალების ცვეთამედეგი სამუხრუჭო სისტემა – სამუხრუჭო სისტემის ცვეთამედეგობა ნიშნავს გრძელ დაღმართზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების სიჩქარის სტაბილიზაციის მიზნით ძრავით დამუხრუჭების და სხვა

მუხრუჭ-შემანელებელი სისტემების გამოყენება. ამ სისტემით მოწყობილი ავტოსატრანსპორტო საშუალებები უნდა იქნენ აღჭურვილნი თბოდამცავი ეკრანით, საიმედოდ დამაგრებული სისტემისა და ცისტერნის ან ტვირთს შორის ისე, რომ აცილებულ იქნეს ცისტერნის კედლებისა ან ტვირთის თუნდაც ლოკალური გაცხელება. ამასთანავე თბოდამცავმა ეკრანმა უნდა დაიცვას სამუხრუჭო სისტემა გადასაზიდი პროდუქტის ნებისმიერი, მათ შორის ავარიული გაჟონვისაგან. დამაკმაყოფილებლად ჩაითვლება მაგალითად დაცვა ორმაგ გარსიანი ეკრანით;

ვ) საწვავით გამათბობლები:

ვ.ა) საწვავით გამათბობლები უნდა პასუხობდეს გაეროს ეეკ N 122 წესების “M, N და O კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების ოფიციალურ დამტკიცებასთან დაკავშირებული ერთსახოვანი მითითებები გათბობის სისტემასთან მამართებაში” (შესწორებებით) და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 27 სექტემბრის 2001/56/EC დირექტივის “შექანიკური სატრანსპორტო საშუალებებისა და მისაბმელების გათბობის სისტემების შესახებ” (შესწორებებით) მოთხოვნებს;

ვ.ბ) საწვავით გამათბობლები და მათი გამონაბოლქვი აირების გამოშვების სისტემა უნდა იყოს კონსტრუირებული, განლაგებული, დაცული და უზრუნველყოფილი დაფარვით ისე, რომ აცილებულ იქნეს ტვირთს გადახურების ან ცეცხლის მოკიდების ნებისმიერი საფრთხე. აღნიშნული მოთხოვნა ითვლება დაკმაყოფილებულად, თუ ამ მოწყობილობის ავზი და გამონაბოლქვის სისტემა აკმაყოფილებს ავტოსატრანსპორტო საშუალების ანალოგიური სისტემის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს;

ვ.გ) საწვავით გამათბობლების გამორთვა შესაძლებელი უნდა იყოს შემდეგი ქმედებების შედეგად:

ვ.გ.ა) მძღოლის მიერ ხელით კაბინიდან;

ვ.გ.ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალების ძრავის გათიშვისას, აღნიშნულ შემთხვევაში გამათბობელი შეიძლება კვლავ ჩაერთოს ხელით მძღოლის მიერ;

ვ.გ.გ) ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე სახიფათო ტვირთებისათვის განკუთვნილი მკვებავი ტუმბოს ჩართვისას;

ვ.დ) საწვავით გამათბობლების ჩართვა უნდა ხდებოდეს ხელით. პროგრამული მოწყობილობების გამოყენება აკრძალულია;

ვ.ე) აირად სათბობზე მომუშავე საწვავით გამათბობლების გამოყენება არ დაიშვება.

4. სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობა - ავტოსატრანსპორტო საშუალებები (სატრანსპორტო საშუალებები ხისტი ჩარჩოთი და საწევრები) 3,5 ტონაზე მეტი სრული მასით უნდა იქნენ აღჭურვილნი სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობით გაეროს ეეკ N 89 წესების ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად (გაეროს ეეკ N 89 წესები “ერთსახოვანი მითითებები, დაკავშირებული ოფიციალურ დამტკიცებასთან:

ა) სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობების;

ბ) სატრანსპორტო საშუალებების, მათი მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვასთან მიმართებაში;

გ) სატრანსპორტო საშუალებების, მათი ოფიციალურად დამტკიცებული ტიპის სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობების დაყენებასთან მიმართებაში”).

აღნიშნული მოწყობილობა უნდა იყოს დარეგულირებული 90 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეზე.

5. მისაბმელების გადასაბმელი მოწყობილობები - უნდა პასუხობდნენ გაეროს ეეკ N 55 წესების “სატრანსპორტო საშუალებათა შემადგენლობების გადასაბმელ მოწყობილობათა მექანიკური დეტალების ოფიციალურ დამტკიცებასთან დაკავშირებული ერთსახოვანი მითითებები” ან ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 1994 წლის 30 მაისის 94/20/EC დირექტივის “მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების მექანიკური შეერთებების შესახებ” (შესწორებებით) მოთხოვნებს, მათში მითითებული გამოყენების ვადების დაცვით.

მუხლი 15. განსაზღვრული სახიფათო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაშვების მოწმობის გაცემის პირობები და ვადები

1. დაშვების მოწმობა განსაზღვრულ სახიფათო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვაზე გაიცემა მხოლოდ EX/II, EX/III, FL, OX და AT ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე.

2. EX/II, EX/III, FL, OX და AT ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც გამოიყენება განსაზღვრული სახიფათო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვაზე, უნდა აკმაყოფილებდნენ ამ წესის მე-14 მუხლის მოთხოვნებს დანართში 6 მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

3. ავტოსატრანსპორტო საშუალებების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას ახორციელებენ აკრედიტებული ტესტირების ცენტრები.

4. ავტოსატრანსპორტო საშუალება შესაძლებელია ეკუთვნოდეს დანართი 6-ის ცხრილში აღნიშნულ ერთ ან რომდენიმე ტიპს (EX/II, EX/III, FL, OX ან AT).

5. ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს, ტესტირების ცენტრების მიერ გაიცემა შესაბამისობის შეფასების ოქმი ავტოსატრანსპორტო საშუალების განსაზღვრულ სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე დასაშვებად (დანართი 7).

6. განსაზღვრული სახიფათო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობის მისაღებად განმცხადებელმა სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს (შემდგომ სააგენტო) უნდა წარუდგინოს განცხადება დაშვების მოწმობის გაცემის შესახებ, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) განსაზღვრულ სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე დასაშვებად ავტოსატრანსპორტო საშუალების შეფასების ოქმი;

ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობის დამადასტურებელი ტესტირების ბარათი;

გ) ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

დ) ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელობის დამადასტურებელი საბუთის ასლი.

7. სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი 3 დღის ვადაში ამოწმებს განცხადების და თანდართული საბუთების შესაბამისობას ამ წესის, “სახიფათო ტვირთების გადაზიდვების შესახებ” გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტიპური წესებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

8. განცხადებისა და თანდართული საბუთების დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, სააგენტო განმცხადებელს მიუთითებს კონკრეტულ ნაკლოვანებებზე და განსაზღვრავს ვადას (რომელიც არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები), რომლის განმავლობაშიც განცხადებელმა უნდა გამოასწოროს ნაკლოვანებები და წარმოადგინოს ნაკლოვანებების გამოსწორების დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტი ან წერილობითი ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით.

9. სააგენტო ახორციელებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ექსპერტიზას, განიხილავს მის შედეგებს და დადგენილი წესით ღებულობს გადაწყვეტილებას დაშვების მოწმობის გაცემის ან გაცემაზე უარის თაობაზე.

10. გაცემაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ივსება დადგენილი ფორმის დაშვების მოწმობა, ტარდება უწყებრივ რეესტრში და გაიცემა განმცხადებელზე. მათი ასლები ინახება სააგენტოში.

11. განსაზღვრულ სახიფათო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაშვების მოწმობა გაიცემა მათი სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე დასაშვებად შესაბამისობის შეფასების ჩატარების თარიღიდან 12 თვის ვადით. დაშვების მოწმობა მოქმედია მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობის დამადასტურებელი ტესტირების ბარათის მოქმედების ვადაში.

დანართი №1

| | | | |
|---|--|--|--|
| <p>ავტოსატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობა განსაზღვრულ სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე</p> <p>CERTIFICATE OF APPROVAL FOR VEHICLES CARRYING CERTAIN DANGEROUS GOODS</p> <p>მოწმობა ადასტურებს, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალება პასუხობს "სახიფათო ტვირთების გადაზიდვების შესახებ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტიპური წესების მოთხოვნებს</p> <p><i>This certificate testifies that the vehicle specified below fulfils the conditions prescribed by the United Nations typical rule requirements about "International carriage of dangerous goods".</i></p> | | | |
| 1. მოწმობის Certificate No | 2 ავტოსატრანსპორტო საშუალების დამამზადებელი: Vehicle manufacturer | 3. ავტოსატრანსპორტო საშუა- ლეების საიდენტიფიკაციო Vehicle Identification No: | 4. სარეგისტრაცი ო ნომერი (ასეთის არსებობისას): Registration number (if any) |
| 5. მფლობელის ოპერატორის ან გადამზიდველის დასახელება, მისამართი: Name and business address of carrier, operator or owner: | | | |
| 6. ავტოსატრანსპორტო საშუალების აღწერა: Description of vehicle: | | | |
| 7. ავტოსატრანსპორტო საშუალების აღნიშვნა(ები): ¹ Vehicle designation(s): ¹ EX/II EX/III FL OX AT | | | |
| 8. სამუხრუჭო სისტემის ცვეთამდეგობა: ² Endurance braking system: ² <input type="checkbox"/> არ არის გამოყენებული; Not applicable; | | | |

| |
|---|
| <p><input type="checkbox"/> ეფექტურობა საკმარისია ----- ტ სრული მასის ავტოსატრანსპორტო ერთეულისათვის. The effectiveness is sufficient for a total mass of the transport unit of —t.</p> |
| <p>9. დამონტაჟებული ცისტერნ(ებ)ის / ავტოსატრანსპორტო საშუალება-ბატარეის (სექციებით) აღწერა: Description of the fixed tank(s)/battery-vehicle (if any):</p> <p>9.1 ცისტერნის დამამზადებელი: Manufacturer of the tank:</p> <p>9.2 ცისტერნის /ავტოსატრანსპორტო საშუალება-ბატარეის (სექციებით) დამტკიცების ნომერი: Approval number of the tank/battery-vehicle:</p> <p>9.3 დამამზადებლის მიერ მინიჭებული ცისტერნის სერიული ნომერი / ავტოსატრანსპორტო საშუალება-ბატარეის (სექციებით) ელემენტების აღნიშვნა: Tank manufacturer's serial number/Identification of elements of battery-vehicle:</p> <p>9.4 დამზადების წელი: Year of manufacture:</p> <p>9.5 ცისტერნის კოდი: Tank code:</p> <p>9.6 სპეციალური დებულებები: Special provisions:</p> |
| <p>10. გადასაზიდად ნებადართული სახიფათო ტვირთები²: Dangerous goods authorised for carriage²: ავტოსატრანსპორტო საშუალება პასუხობს იმ სახიფათო ტვირთების გადაზიდვისათვის მოთხოვნილ პირობებს, რომლებიც მიეკუთვნებიან მე-7 პუნქტში მოცემულ ავტოსატრანსპორტო საშუალების აღნიშვნა(ებ)ს. The vehicle fulfils the conditions required for the carriage of dangerous goods assigned to the vehicle designation(s) in No. 7.</p> <p>10.1 EX/II ან EX/III ავტოსატრანსპორტო საშუალება: In the case of an EX/II or EX/III vehicle:</p> <p><input type="checkbox"/> 1-ლი კლასის ტვირთები \neq შეთავსებადობის ჯგუფის ჩათვლით; goods of Class 1 including compatibility group J;</p> <p><input type="checkbox"/> 1-ლი კლასის ტვირთები \neq შეთავსებადობის ჯგუფის ჩათვლელად. goods of Class 1 excluding compatibility group J.</p> <p>10.2 ავტოცისტერნა / ავტოსატრანსპორტო საშუალება-ბატარეა (სექციებით) In the case of a tank-vehicle/battery-vehicle</p> <p><input type="checkbox"/> შეუძლიათ გადაზიდონ ნივთიერება, რომელიც ნებადართულია ცისტერნის კოდით და მე-9 პუნქტში მითითებული ნებისმიერი სპეციალური დებულებით, ან only the substances permitted under the tank code and any special provisions specified in No. 9 may be carried 5 or;</p> <p><input type="checkbox"/> შეუძლიათ გადაზიდონ მხოლოდ შემდეგი ნივთიერებები (კლასი, გაეროს ნომერი და, თუ საჭიროა, შეფუთვის ჯგუფი და თანმხლები (შესაბამისი) გასაგზავნი დასახელება): only the following substances (Class, UN number, and if necessary packing group and proper shipping name) may be carried:</p> <p>შეუძლიათ გადაზიდონ მხოლოდ ისეთი ნივთიერებები, რომლებიც არ რეაგირებენ კორპუსის მასალაზე, სადებებზე, მოწყობილობებსა და შიგა დამცავ მოპირკეთებაზე (თუ ასეთი არის). Only substances which are not liable to react dangerously with the materials of the shell, gaskets, equipment and protective linings (if applicable) may be carried.</p> |
| <p>11 შენიშვნები: Remarks:</p> |
| <p>12. ძალაშია: -მდე სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო Valid until: Land Transport Agency</p> <p>ხელმოწერა, ბეჭედი:</p> |

1. – არასაჭირო გადაიხაზოს Strike out what is not appropriate.
2. – საჭირო აღინიშნოს Mark the appropriate.
3. – ვარდისფერი ზოლი Pink line.

დანართი №2

| | |
|--|--------------------------------------|
| სერტიფიკატი | გვარი ----- |
| მძღოლის მომზადებაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვების განსახორციელებლად | სახელი ----- |
| ცისტერნებით ¹ სხვა, ცისტერნების გარდა ¹ დაბადების | თარიღი ----- |
| სერტიფიკატი N | მოქალაქეობა ----- |
| სერტიფიკატის გამცემი სახელმწიფოს განმასხვავებელი ნიშანი მფლობელის | ხელმოწერა ----- |
| მოქმედებს ნივთიერებათა კლასებისათვის: | |
| ცისტერნებით ¹ | სხვა, ცისტერნების გარდა ¹ |
| 1 1 | გაცემულია ----- მიერ |
| 2 2 | თარიღი ----- |
| 3 3 | სერტიფიკატის გამცემი პირის |
| 4.1, 4.2, 4.3 4.1, 4.2, 4.3 თანამდებობა, სახელი, გვარი | ხელმოწერა ² |
| 5.1, 5.2 5.1, 5.2 | |
| 6.1, 6.2 6.1, 6.2 | |
| 7 7 | |
| გაგრძელებულია ----- მდე | |
| 8 8 | |
| 9 9 | ----- მიერ |
| | თარიღი ----- |
| მოქმედებს მდე სერტიფიკატის გამცემი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი | |
| ხელმოწერა ² | |
| 1 არასაჭირო გადაიხაზოს 2 სერტიფიკატის გამცემი ორგანიზაციის ბეჭედი | |

დანართი №3

შეთანხმებულია:

1) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

(სახელი, გვარი, ხელმოწერა, ბეჭედი)

2) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი

(სახელი, გვარი, ხელმოწერა, ბეჭედი)

მოქმედების ვადა

----- 200 წ.-დან

----- 200 წ.-მდე

სახიფათო ტვირთის გადაზიდვის მარშრუტი

| | | |
|---|--|--|
| ტვირთის დასახელება | | |
| ტვირთის კლასი | | |
| გაეროს სიის მიხედვით ნივთიერების საიდენტიფიკაციო ნომერი | | |

ტვირთის საერთო წონა ერთ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ----- ტონა.
იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა, რომლებსაც ერთდროულად
გადააქვთ ტვირთი ----- ერთეული.

მოძრაობის განსაკუთრებული პირობები

1. დასაშვები სიჩქარე -----

2. დაცვა (მთლიან მარშრუტზე, ცალკეულ უბნებზე, არ არის საჭირო) *

3. გაცილება (მთლიან მარშრუტზე, ცალკეულ უბნებზე, არ არის საჭირო) *

4. მოძრაობა ღამით (ნებადართულია, აკრძალულია) *

5. მოძრაობა არასაკმარისი ხილვადობის პირობებში: ნისლი, თოვლი, წვიმა,
ქარბუქი . . . (ნებადართულია, აკრძალულია) *

შენიშვნა: * (საჭიროს ხაზი გაესვას)

(გადაზიდვის მარშრუტის უკანა მხარე)

მოძრაობის მარშრუტი

| | | |
|----|------------------------------|--|
| 1. | ტვირთის გამგზავნის მისამართი | |
|----|------------------------------|--|

| | | |
|----|--|--|
| 2. | ტვირთის მიმღების მისამართი | |
| 3. | ქუჩებისა და დასახლებული პუნქტების დასახელება | |
| 4. | დაუსახლებელი პუნქტების ჩამონათვალი | |
| 5. | იმ შუალედური პუნქტების მისამართები, სადაც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ჩაბარდეს ტვირთი | |
| 6. | მარშრუტზე განლაგებული საპატრულო პოლიციის საგუშაგოების და საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი და ა.შ.). | |
| 7. | დგომის ადგილი | |
| 8. | საწვავით გამართვის ადგილი | |
| 9. | გზის საშიში მონაკვეთი | |

გადამზიდველი

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

შენიშვნა: სახიფათო ტვირთის გადაზიდვის მარშრუტს შეიმუშავენ და ათანხმებს შესაბამის ორგანოსთან გადამზიდველი.


დანართი №4






| | |
|--|---|
| <p>ნარინჯისფერი ტაბლო ნივთიერების საშიშროების კლასისა და გაეროს საიდენტიფიკაციო ნომრის აღნიშვნით</p> | |
| | <p>ნივთიერების საშიშროების კლასი (2 ან 3 ციფრი)</p> |





| | |
|---|---|
| | <p>ნივთიერების საიდენტიფიკაციო გაეროს ნომერი (ოთხი ციფრი)</p> |
| <p>შენიშვნა: – ფონი – ნარინჯისფერი; – შემოხაზულობა, ზოლი და ციფრები – შავი ფერის, სისქით 15 მმ.</p> | |





დანართი №5

სახიფათო ტვირთის საშიშროების ნიშნების ნიმუშები



| ნიშნის N | საშიშროების კლასი | ნიშნის ნიმუში | სიმბოლო | ფონი | წარწერა |
|----------|---|---|------------------------|---------------|--|
| 1 | საშიშროების კლასი 1 ფეთქებადი ნივთიერებები |  ქვეკლასი 1.1, 1.2, 1.3 | ფეთქებადი ბომბი – შავი | ნარინჯის-ფერი | ციფრი «1» – ქვედა კუთხეში, შავი ** ადგილი ქვეკლასის აღნიშვნისათვის ** ადგილი |




| | | | | | შეთავსებადობის ჯგუფის აღნიშვნისათვის |
|-----|----------------------------------|--|---------------------------|--------|--|
| 1.4 | |  ქვეკლასი 1.4 | ციფრი «1,4» – შავი | | |
| 1.5 | |  ქვეკლასი 1.4 | ციფრი «1,5» – შავი | | |
| 1.6 | |  ქვეკლასი 1.4 | ციფრი «1,6» – შავი | | |
| 2.1 | საშიშროების კლასი 2 აირები |   ადვილალეზადი | ალი – შავი ან თეთრი | წითელი | ციფრი «2» – ქვედა კუთხეში, შავი ან თეთრი |

| | | | | | |
|-----|--|---|---|--|--|
| 2.2 | |  <p>არაალეზაბადი, არატოქსიკური</p> | აირბალონი – შავი ან თეთრი | მწვანე | |
| 2.3 | |  <p>ტოქსიკური</p> | თავის ქალა გადაჯვარედი -ნებული ძვლებით – შავი | თეთრი | ციფრი «2» – ქვედა კუთხეში, შავი |
| 3 | საშიშროების კლასი 3 ადვილაალეზ ადი სითხეები |  | ალი – შავი ან თეთრი | წითელი | ციფრი «3» – ქვედა კუთხეში, შავი ან თეთრი |
| 4.1 | საშიშროების კლასი 4 ალეზაბადი მყარი ნივთიერებე ბი |  <p>ადვილაალეზაბადი მყარი ნივთიერებები</p> | ალი – შავი | თეთრი, შვიდი ვერტიკა- ლური წითელი ზოლით | ციფრი «4» – ქვედა კუთხეში, შავი |

| | | | | | |
|-----|---|---|---------------------------|-------------------------------------|---|
| 4.2 | |  <p>თვითაალებადი ნივთიერებები</p> | ალი – შავი | ზედა ნახევარი თეთრი, ქვედა – წითელი | |
| 4.3 | |  <p>ნივთიერებები, რომლებიც წყალთან კონტაქტისას გამოყოფენ აალებად გაზებს</p> | ალი – შავი თეთრი ან | ლურჯი | ციფრი «4» – ქვედა კუთხეში, შავი ან თეთრი |
| 5.1 | საშიშროების კლასი 5 მჟანგავი ნივთიერებები და ორგანული პეროქსიდები |  <p>მჟანგავი ნივთიერებები</p> | ალი წრებაზის ზემოთ – შავი | ყვითელი | ციფრი «5.1» – ქვედა კუთხეში |
| 5.2 | |  <p>ორგანული პეროქსიდები</p> | | | ციფრი «5.2» ქვედა კუთხეში, ნიშნის ქვედა ნახევარში შესაძლებელია წარწერა «ინფექციური ნივთიერება» ან/და «დაზიანების ან |

| | | | | | |
|-----|---|--------------------------------|--|-------|--|
| | | | | | დადგრის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ეცნობოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს» |
| 6.1 | საშიშროების კლასი 6 ტოქსიკური და ინფექციური ნივთიერებები | <p>ტოქსიკური ნივთიერებები</p> | თავის ქალა გადაჯვარედი-ნეხული ძვლებით – შავი | თეთრი | ციფრი «6» – ქვედა კუთხეში |
| 6.2 | | <p>ინფექციური ნივთიერებები</p> | წრებაზე დადებული სამი ნახევარ-მთვარე – შავი | თეთრი | |
| 7A | საშიშროების კლასი 7 რადიოაქტიური ნივთიერებები და მასალები | <p>კატეგორია 1</p> | სამყურა – შავი | თეთრი | ციფრი «7» ქვედა კუთხეში, ნიშნის ქვედა ნახევარში სავალდებულოა ტექსტი შავი ფერით: «RADIOACTIVE» (რადიოაქტიური) «CONTENTS.....» (შემცველობა... ..) «ACTIVITY.....» (აქტიურობა.....).) სიტყვას «RADIOACTIVE» უნ- და მოჰყვებოდეს ორი წითელი ვერტიკალური ზოლი... |

| | | | | |
|----|--|--|--|--|
| 7B | |  <p>კატეგორია 2</p> | | <p>ზედა ნახევარი ყვითელი თეთრი ქობით, ქვედა – თეთრი</p> <p>ციფრი «7» ქვედა კუთხეში, ნიშნის ქვედა ნახევარში სავალდებულოა ტექსტი შავი ფერით: «RADIOACTIVE»</p> <p>(რადიოაქტიური)</p> <p>«CONTENTS.....»</p> <p>(შემცველობა... ..)</p> <p>«ACTIVITY.....»</p> <p>.....</p> <p>(აქტიურობა.....)....</p> <p>სიტყვას «RADIOACTIVE» უნ- და მოჰყვებოდეს ორი წითელი ვერტიკალური ზოლი...</p> |
| 7C | |  <p>კატეგორია 3</p> | | <p>ციფრი «7» ქვედა კუთხეში, ნიშნის ქვედა ნახევარში სავალდებულოა ტექსტი შავი ფერით: «RADIOACTIVE»</p> <p>(რადიოაქტიური)</p> <p>«CONTENTS.....»</p> <p>(შემცველობა... ..)</p> <p>«ACTIVITY.....»</p> <p>.....</p> |

| | | | | | |
|----|---|---|---|---|---|
| | | | | | (აქტიურობა..... ...) სიტყვას «RADIOACTIVE» უნ- და მოჰყვებოდეს სამი წითელი ვერტიკალური ზოლი... |
| 7E | |  <p>დაშლადი მასალა კლასი 7</p> | წარწერა «გამყოფი» | თეთრი | ციფრი «7» ქვედა კუთხეში, სავალდებულოა ტექსტი შავი ფერით: ნიშნის ზედა ნახევარში სიტყვა «FISSILE» (დაშლადი), ნიშნის ქვედა ნახევარში შავ მართკუთხედში «CRITICALITY SAFETY INDEX» (უსაფრთხოების ინდექსი კრიტიკულობაზ ე) |
| 8 | საშიშროების კლასი 8 კოროზიული და მწველი ნივთიერებებ ი |  | ორი სინჯარიდან გადმოსასხმე- ლი სითხეები, რომლებიც აზიანებენ ხელს ან ლითონს | ზედა ნახევარი თეთრი, ქვედა – შავი თეთრი ქობით | ციფრი «8» – ქვედა კუთხეში, თეთრი |
| 9 | საშიშროების კლასი 9 სხვა სახიფათო ნივთიერებებ ი და ნაკეთობები |  | ზედა ნახევარში შვიდი ვერტიკალურ ი შავი ზოლი | თეთრი | ხაზგასმული ციფრი «9» – ქვედა კუთხეში |

დანართი №6

განსაზღვრული სახიფათო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვაზე დაშვებისათვის
ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ მოთხოვნების გამოყენების
ცხრილი

| წესის მე-14 მუხლის პუნქტების (ქვეპუნქტების) აღნიშვნები | ტექნიკური მახასიათებლები | სატრანსპორტო საშუალებების ტიპი | | | | | შენიშვნა |
|--|---|--------------------------------|----------------|----|----------------|----|---|
| | | EX/II | EX/III | AT | FL | OX | |
| პუნქტი 1 | ელექტრომოწყობილობა | | | | | | |
| პუნქტი 1 "ა" ქვეპუნქტი | ელექტროგაყვანილობა | | X | X | X | X | |
| პუნქტი 1 "ბ" ქვეპუნქტი | აკუმულატორთა ბატარეის მთავარი გადამრთველი | | | | | | |
| პუნქტი 1 "ბ.ა" ქვეპუნქტი | | | X ¹ | | X ¹ | | 1 პირველი პუნქტის "ბ.ა" ქვეპუნქტის ბოლო მოთხოვნა გამოიყენება ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის პირველად დარეგისტრირებული (ან თუ რეგისტრაცია არ არის სავალდებულო პირველად დაშვებული საექსპლუატაციოდ) 2005 წლის 30 ივნისის შემდეგ. |
| პუნქტი 1 "ბ.ბ" ქვეპუნქტი | | | X | | X | | |
| პუნქტი 1 "ბ.გ" ქვეპუნქტი | | | | | X | | |
| პუნქტი 1 "ბ.დ" ქვეპუნქტი | | | X | | X | | |
| პუნქტი 1 "ბ" ქვეპუნქტი | აკუმულატორთა ბატარეა | X | X | | X | | |
| პუნქტი 1 "დ" ქვეპუნქტი | მუდმივად მარჯვნივ მყოფი | | | | | | |

| | | | | | | | |
|--------------------------------|---|---|----------------|----------------|----------------|----------------|---|
| | ელექტრომოწყობილობის ნაწილები | | | | | | |
| პუნქტი 1 “დ.ა” ქვეპუნქტი | | | | | X | | |
| პუნქტი 1 “დ.ბ” ქვეპუნქტი | | | X | | | | |
| პუნქტი 1 “ე” ქვეპუნქტი | მძღოლის კაბინის უკან განლაგებული ელექტრომოწყობილობის ნაწილები | | X | | X | | |
| პუნქტი 2 | სამუხრუჭო სისტემა: | | | | | | |
| პუნქტი 2 “ა” ქვეპუნქტი | საერთო დებულებები | X | X | X | X | X | |
| | ანტიბლოკირების სამუხრუჭო სისტემა | | X ² | X ² | X ² | X ² | 2 გამოიყენება 1993 წლის 30 ივნისის შემდეგ პირველად დარეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის, რომელთა სრული მასა აღემატება 16 ტონას და მისაბმელებისათვის, რომელთა სრული მასა აღემატება 10 ტონას. გამოიყენება ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის, რომლებიც 2001 წლის 30 ივნისის შემდეგ პირველად არიან დაშვებული გადაზიდვისათვის, მათი პირველადი რეგისტრაციის თარიღის მიუხედავად. |
| | ცვეთამდეგო სამუხრუჭო სისტემა | | X ³ | X ³ | X ³ | X ³ | 3 გამოიყენება 1993 წლის 30 ივნისის |

| | | | | | | | |
|---|---|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|---|
| | | | | | | | შემდეგ პირველად დარეგისტრირებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის, რომელთა სრული მასა აღემატება 16 ტონას ან დაშვებული არიან 10 ტონაზე მეტი სრული მასით მისაბმელების ბუქსირებისათვის. |
| პუნქტი 2 “ბ” ქვეპუნქტი | მისაბმელების საავარიო სამუხრუჭო სისტემა | | | | | | |
| პუნქტი 2 “ბ.ა” ქვეპუნქტი | | X | | | | | |
| პუნქტი 2 “ბ.ბ” ქვეპუნქტი | | | X | | | | |
| პუნქტი 3 | ხანძრის წარმოშობის საშიშროების აცილება | | | | | | |
| პუნქტი 3 “ა” ქვეპუნქტი | სატრანსპორტო საშუალების კაბინა | | | | | X | |
| პუნქტი 3 “ბ” ქვეპუნქტი | საწვავის ავზები | X | X | | X | X | |
| პუნქტი 3 “გ” ქვეპუნქტი | ძრავა | X | X | | X | X | |
| პუნქტი 3 “დ” ქვეპუნქტი | გამონაბოლქვი აირების გამომშვების სისტემა | X | X | | X | | |
| პუნქტი 3 “ე” ქვეპუნქტი | სატრანსპორტო საშუალების ცვეთამედეგი სამუხრუჭო სისტემა | | X | X | X | X | |
| პუნქტი 3 “ვ” ქვეპუნქტი | საწვავით გამათბობლები | | | | | | |
| პუნქტი 3 “ვ.ა”, “ვ.ბ” და “ვ.დ” ქვეპუნქტები | | X ⁴ | X ⁴ | X ⁴ | X ⁴ | X ⁴ | ⁴ გამოიყენება ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის, რომლებიც |

| | | | | | | | |
|--------------------------------|--|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|--|
| | | | | | | | აღჭურვილნი არიან ამ მოწყობილობებით 1999 წლის 30 ივნისის შემდეგ. |
| პუნქტი 3 “ვ.გ” ქვეპუნქტი | | | | | X ⁴ | | 4 გამოიყენება ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის, რომლებიც აღჭურვილნი არიან ამ მოწყობილობებით 1999 წლის 30 ივნისის შემდეგ. |
| პუნქტი 3 “ვ.ე” ქვეპუნქტი | | X | X | | | | |
| პუნქტი 4 | სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობა | X ⁵ | X ⁵ | X ⁵ | X ⁵ | X ⁵ | 5 გამოიყენება 1987 წლის 31 დეკემბრის შემდეგ პირველად დარეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის, რომელთა სრული მასა აღემატება 12 ტონას და 2007 წლის 31 დეკემბრის შემდეგ პირველად დარეგისტრირებული ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის, რომელთა სრული მასა აღემატება 3,5 ტონაზე ნაკლებია. |
| პუნქტი 5 | მისაბმელების გადასაბმელი მოწყობილობები | X | X | | | | |

შენიშვნა: X – სტრიქონში მოყვანილი მოთხოვნების გავრცელების ნიშანი სვეტში მოყვანილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ.

დანართი №7

შესაბამისობის შეფასების ოქმი №

განსაზღვრულ სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დასაშვებად

ტესტირების ცენტრის მონაცემები:

| დასახელება | მისამართი, ტელეფონი | ხელმძღვანელის გვარი, სახელი | აკრედიტაციის მოწმობის № |
|------------|---------------------|-----------------------------|-------------------------|
| | | | |

ავტოსატრანსპორტო საშუალების მახასიათებლები ¹:

| |
|---|
| 1. ავტოსატრანსპორტო საშუალების დამამზადებელი: |
| 2. ავტოსატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი: |
| 3. სარეგისტრაციო ნომერი (ასეთის არსებობისას): |
| 4. მფლობელი, ოპერატორი ან გადაზიდველი, მისამართი, ტელეფონი: |
| 5. ავტოსატრანსპორტო საშუალების აღწერა: (მარკა, ტიპი, სრული მასა, კვ) |
| 6. ცისტერნის დამამზადებელი: |
| 7. ცისტერნის /ავტოსატრანსპორტო საშუალება-ბატარეის (სექციებით) დამტკიცების ნომერი: |
| 8. დამამზადებლის მიერ მინიჭებული ცისტერნის სერიული ნომერი/ავტოსატრანსპორტო საშუალება-ბატარეის (სექციებით) ელემენტების აღნიშვნა: |
| 9. ცისტერნის დამზადების წელი: |
| 10. ცისტერნის კოდი: |

შეფასების შედეგები 1,2:

| | | | | | | | | | |
|---|--------------------------|--------------------------------------|--------------------------|------------------------------------|--------------------------|--------------------------------------|--------------------------|---|--------------------------|
| 1. ელექტრომოწყობილო-ბა და მისი ელემენტები: | | 2. სამუხრუჭო სისტემა: | | 3. ხანძარსაშიშროების აცილება: | | 4. სიჩქარის შემზღვეველი მოწყობილობა | | 5. მისაბმელების გადასაბმელი მოწყობილობები | |
| 1.1 ელექტროგაყვანილობა | <input type="checkbox"/> | 2.1 საერთო დებულებები | <input type="checkbox"/> | 3.1 სატრანსპორტო საშუალების კაბინა | <input type="checkbox"/> | 4.1 სიჩქარის შემზღვეველი მოწყობილობა | <input type="checkbox"/> | 5. მისაბმელების გადასაბმელი მოწყობილობები | <input type="checkbox"/> |
| 1.2 აკუმულატორთა ბატარეის მთავარი გადამრთველი | <input type="checkbox"/> | 2.2 ანტიბლოკირების სამუხრუჭო სისტემა | <input type="checkbox"/> | 3.2 საწვავის ავზები | <input type="checkbox"/> | | | | |
| 1.3 აკუმულატორთა ბატარეა | <input type="checkbox"/> | 2.3 ცვეთამედები სამუხრუჭო სისტემა | <input type="checkbox"/> | 3.3 ძრავი | <input type="checkbox"/> | | | | |
| 1.4 მუდმივად მუშაობის ქვეშ | <input type="checkbox"/> | 2.4 მისაბმელების | <input type="checkbox"/> | 3.4 გამონაბოლქვი | <input type="checkbox"/> | | | | |

| | | | | | | | | |
|--|--------------------------|----------------------------|---|--|--|--|--|--|
| მყოფი ელექტრომოწყობილობის ნაწილები 1.5 მძლლის კაბინის უკან განლაგებული ელექტრომოწყობილობის ნაწილები | <input type="checkbox"/> | საავარიო სამუხრუჭო სისტემა | აირების გამომშვების სისტემა 3.5 ცვეთამედეგი სამუხრუჭო სისტემა 3.6 საწვავით გამათბობლები | <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> | | | | |
|--|--------------------------|----------------------------|---|--|--|--|--|--|

| | | | | | |
|-------------------------------------|-------|--------|----|----|----|
| ავტოსატრანსპორტო საშუალების ტიპი 3: | EX/II | EX/III | FL | OX | AT |
|-------------------------------------|-------|--------|----|----|----|

დასკვნა:

| |
|--|
| |
|--|

- შენიშვნა: 1. ჩამოთვლილის არარსებობის შეთხვევაში გადაიხაზოს ციფრები;
 2. მოთხოვნებთან შეუსაბამობის შეთხვევაში გადაიხაზოს უჯრა (□);
 3. არასაჭირო გადაიხაზოს.

შეფასების თარიღი

პასუხისმგებელი პირების სახელი, გვარი, ხელმოწერა:

შემფასებელი:

ცენტრის ხელმძღვანელი:

ბ.ა